For example, in such genre of business communication as press conference, the functions of conveyance and speaker's influence on the interlocutor may be simultaneously realized, hence the difference of functions predetermines the use of phraseology by business partners.

In written business discourse (articles, business letters, memoranda, contracts, reports, minutes of the meetings etc.) not only phrasal, standardized stylistic clichés are used (*We are looking forward to hearing from you soon. We would appreciate a reply by fax*) but also special phraseologies (e.g. *to beat the wind* - to waste time, to be busy with vain work; *to carry coals to Newcastle* - to do something absurd; *the whole bag of tricks* - very sly; *out of season* - not available for sale, out of point, not in a proper place).

According to all above-mentioned, it is clear that the usage of phraseology in business communication

is a peculiar reflection of difference in opinions, being available at any level of business life and determined by the specificity of linguistic diversity existing in society.

### **Conclusion**

Thus, as we have seen the phraseology in business communication serves as a manner for efficient expression. By means of phraseology businessman conveys ideas, delivers personal attitudes or emotions. Expressivity as a specific category of phraseology in business communication is a set of several connotative aspects – evaluation, emotionality, figuration and intensity.

It can be easily stressed that business communication contains a considerable amount of phraseology which is notable for its expressive means and creativity. Due to its imagery and connotative potential, phraseology could be regarded as a part of business fascination.

The degree of semantic independence of the phraseological units created for business is different, in some of them the sense can be drawn from the components of the whole phrase, but in some others the sense is clear without any further consideration.

As a conclusion, it is proved that phraseology in business communication is independent but the structure of business phraseology coincides with the structure of other phraseological units. Hence, the phraseology of business communication is a constituent part of the general phraseology.

### **Literature**

1. Anita Naciscione (2010): Stylistic use of phraseological units in discourse. John Benjamins Publishing Company
2. Askehave I. & Swales J. M. (2001): Genre identification and communicative purpose: a problem and a possible solution. Applied Linguistics

3. Bearmer L., Varner I. (2008): Intercultural communication in the global workplace. Boston. McGraw-Hill Irwin

4. David W. Carroll (2008): Psychology of language. Fifth Edition

5. Locker Kitty O. (1998): Business and Administrative Communication. Boston. Massachusetts. Burr Ridge. New York: Irwin McGraw Hill, 4th edition

## **Фразеологизмы в бизнескоммуникации**

*Кварацхелия Натия Мамукаевна*

*Грузинский университет*

*Школа гуманитарных наук*

*Ул. Костава, 77а, 0175, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 599 249 895*

*E-mail: natiakvaratskhelia@hotmail.com*

### **Резюме**

В каждом языке существуют фразы или предложения, которые не могут быть поняты дословно. Даже, если мы знаем значение всех слов во фразе и полностью понимаем грамматику, значение фраз может оставаться туманным. Многие клише, поговорки, жаргонные выражения, фразовые глаголы и общепринятые высказывания порождают эту проблему. Фраза или предложение такого типа обычно принято считать идиоматическими.

Язык бизнескоммуникации характеризуется чрезмерным употреблением идиоматических фраз – фразеологизмов, так как эффективный бизнесдискурс во многом зависит от подходящего употребления фразеологических единиц. Поэтому, фразеологизмы в бизнескоммуникации служат средством создания определенного равновесия между доверием и уважением между партнерами.

Цель статьи – общий обзор фразеологических единиц в бизнескоммуникации, учитывая их коммуникативные особенности. Опираясь на цель статьи, следует отметить следующие пункты: дать краткую характеристику фразеологических единиц; подчеркнуть главные функции фразеологических единиц в бизнескоммуникации; характеризовать коммуникацию как психологический процесс и выделить коммуникативные особенности фразеологических единиц в бизнесе.

**Ключевые слова:**

фразеология, бизнескоммуникация, стилистика, идиомы, коннотация, язык.

**ფრაზეოლოგიზმები  
ბიზნესკომუნიკაციაში**

*ნათია კვარაცხელია*  
*საქართველოს უნივერსიტეტი*  
*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა*  
*კოსტავას ქ. 77ა, 0175, თბილისი,*  
*საქართველო*  
*ტელ.: 599 249 895*  
*E-mail: natiakvaratskhelia@hotmail.com*

**რეზიუმე**

ყველა ენაში არსებობს ისეთი ფრაზები ან წინადადებები, რომელთა პირდაპირი გაგება წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ ვიცით ფრაზაში არსებული ყოველი სიტყვის მნიშვნელობა და სრულად ვერკვევით გრამატიკაში, ფრაზის მნიშვნელობა შეიძლება დამაბნეველი იყოს. ბევრი კლიშე, ანდაზა, სლენგი, ფრაზეული ზმნა და ზოგადი გამოთქმა წარმოშობს ასეთ პრობლემას. ჩვეულებრივ, ასეთი სახის ფრაზა თუ წინადადება იდიომატურად ითვლება.

ბიზნესკომუნიკაციის ენა ხასიათდება იდიომატური ფრაზების – ფრაზეოლოგიზმების ფართო გამოყენებით, რადგანაც ეფექტური ბიზნესდისკურსი დამოკიდებულია ფრაზეოლოგიური ერთეულების სათანადო გამოყენებაზე. ამიტომაც, ფრაზეოლოგიზმები ბიზნესკომუნიკაციაში წარმოადგენენ საშუალებას პარტნიორებს შორის ნდობისა და პატივისცემის სათანადო ბალანსის ჩამოსაყალიბებლად.

სტატიის მიზანს წარმოადგენს კომუნიკაციური თავისებურებების გათვალისწინებით მოხდეს ბიზნესკომუნიკაციაში არსებული ფრაზეოლოგიური ერთეულების ზოგადი დახასიათება. სტატიის მიზნიდან გამომდინარე საჭიროა გარკვეული საკითხების გამოყოფა: ფრაზეოლოგიური ერთეულების მოკლე დახასიათება; ბიზნესკომუნიკაციაში არსებული ფრაზეოლოგიური ერთეულების მთავარი ფუნქციების ხაზგასმა; კომუნიკაციის, როგორც ფსიქოლოგიური პროცესის დახასიათება და ბიზნესში არსებული ფრაზეოლოგიური ერთეულების კომუნიკაციური თავისებურებების აღნიშვნა.

**საკვანძო სიტყვები:**

ფრაზეოლოგია, ბიზნესკომუნიკაცია, სტილისტიკა, იდიომები, კონოტაცია, ენა.



# Phraseological Units and Cultural Stereotypes

*Natia Kvaratskhelia*

*The University of Georgia*

*School of Humanitarian Sciences*

*77a, Kostava st., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel. : 599 249 895*

E-mail: [natiakvaratskhelia@hotmail.com](mailto:natiakvaratskhelia@hotmail.com)

## Abstract

In all languages there are many examples of a wide variety of constructions that meet the general definition of phraseological units. The phraseological units in the broad sense meet the criteria of “polylexicality” and “fixedness”, whereas phraseology in the narrow sense requires the additional criterion of “idiomaticity”.

In spite of various definitions of phraseological units proposed in the professional literature, it is clear that there is a tight link between phraseological units and cultural stereotypes which is best revealed by fully idiomatic set phrases tending to rely heavily on images, traditions or habits that are characteristic of a given culture. Phraseological units, as an integral part and a kind of treasure of every language can most strongly contribute to reflect long history of the nation, the uniqueness of its culture, life, traditions. However, it is still a challenge to draw a distinct line between images that are related to more or less universal aspects of human mind and features of a specific culture.

## Keywords:

phraseological units, culture, cultural stereotypes, phraseology, linguistics, concept.

## Introduction

It is widely accepted that phraseological units reflect and transmit many important aspects of cultural heritage embedded in the language of each nation. Numerous studies have highlighted the fact

that phraseological units are not only the parts of a language, but also carriers of cultures.

In earlier stages of phraseology research, the interest in cultural phenomena was varied. Until quite recently, topics like idiom syntax, idiom semantics, idiom pragmatics, including sociolinguistic and psycholinguistic perspectives, text-related modifications of idiom structure and cross-linguistic research have figured more prominently in many studies from Europe than cultural topics. Most current studies of phraseological unit, however, regard cultures as a fundamentally acknowledged constant in phraseology.

Phraseological units are especially suitable for revealing cultural relevant concepts, therefore they can be seen as the linguistic repository of a number of cultural traditions that are specific to a given language. Thus, it is quite natural to study phraseology across linguistic as well as cultural scopes, as this sort of approach elucidates the origins of many linguistic and cultural habits. A number of them may turn out to be more or less universal, which would reveal fascinating aspects of human cognition.

## Main Body

The process of identifying cultural stereotypes underlying phraseological units tackles two questions: How is culture revealed in figurative phraseology and how can we categorize the cultural knowledge structures that underlie phraseology? In this case, it is convenient to concentrate on those phraseologies where certain kind of cultural knowledge is involved. The usage of typology of principal cultural phenomena that occurs in phraseology is crucial. It is notable determining the emergence of structures of cultural phenomena that are strikingly similar to those established by semiotics, often resulting in triads such as social, material and mental culture. The category “mental culture”, however, seems unsuitable for describing linguistic phenomena because language as a whole is

a mental phenomenon. It is therefore replaced by the three types: (a) textual dependence, (b) pre-scientific conceptions of the world and (c) cultural symbols. Complementing these types of cultural phenomena are two types (d) aspects of material culture and (e) aspects of culture-based social interaction.

(a) An important type of cultural foundation of phraseology can be labelled textual dependence. This group consists of phraseological units where image components can be traced back to an identifiable textual source. There can be direct references to particular texts, original quotations, which gradually developed into idioms or proverbs, or there can be allusions to an entire text, summarizing a certain situation or the gist of a text. Some idioms of this type display lexical irregularities that are inherited from the source text, cf. to cast pearls before swine, using rather uncommon word swine instead of the more usual pig. It would go beyond the scope of this article to list textual sources significant in other cultural areas, as for example the Koran for Arabic, the Beijing Opera for Chinese phraseology or Chinese literature, tales and legends for the phraseologies of several East Asian languages.

b) Phraseological units that are based conceptually on pre-scientific conceptions of the world make up another culturally relevant group. However, they have never been explored as systematically as have the links between phraseology and well-known texts. Sub-groups of this type include, among other things, phraseological units where underlying fictive concepts belong to folk belief (enough to make the angels weep), superstitions (to thank one's lucky stars) or old folk medicine (rejected in the course of later scientific developments). "Humoral pathology" – the doctrine of the four fluids of the body, or humors, that determine the four prototypical temperaments – was of great influence on the phraseologies of European languages. It can be recognized in idioms such as the French *se faire du mauvais sang*, *se faire de la bile* (to be worried).

(c) In conventional figurative units such as idioms and proverbs, cultural symbols

manifest themselves chiefly in one single key constituent that contains the relevant cultural knowledge. The motivational link between the literal and figurative readings of these constituents is established by semiotic knowledge about the symbol in question, about its meaning in culturally relevant sign systems other than language (e.g. in mythology, religions, popular customs, fine arts). The symbol undergoes a semantic reinterpretation: it is a sign where primary content is used as a sign for denoting another content. For example, the primary meaning of "white" in the idiom whiter than white has shifted metonymically to meanings such as "honest", "true" or "morally pure". Wolf assumes symbolic functions such as "danger" (cry wolf) or "economic despair" (keep the wolf from the door), which are recurrent in figurative language and supported by other cultural codes. This goes back to the semiotisation of the wolf as a dangerous, greedy, man-devouring demon in various cultural codes, from the Bible to fairy tales and modern comics.

(d) The cultural foundation of a large number of phraseological units can be ascribed to

aspects of material culture, which are embedded in everyday life of the present or the past. All kinds of artefacts can be part of literal readings of phraseology. Several idioms, spread across many languages, use achievements of modern technological culture such as motorized transport or telecommunications as their source frames (to see the light at the end of the tunnel, to be on the same wavelength as smb.). Idiosyncratic aspects of material culture in European standard languages seem to be rare. In contrast to that, the phraseology of dialects, or language varieties close to dialects, reveals an abundance of idioethnic realia. Luxembourgish phraseology, for instance, is imbued with cultural realia of winegrowing and winemaking as source concepts (a productive constituent is Hatt (a basket which winegrowers carried on the back for picking grapes or transporting soil to the vineyards). Certainly the further one moves away from the relatively unified European cultures, the more elements of culture-specific artefacts can

be found in phraseologies. The image components underlying several Japanese idioms, for example, reveal the traditional Japanese dwelling house with its veranda, sliding paper screens or tatami - straw mats.

(e) Aspects of culture-based social interaction can be used as an umbrella term for a heterogeneous group of phraseological unit where underlying cultural knowledge chiefly goes back to knowledge about social experiences and behaviours within a given community. This means that some shared knowledge about culture-based phenomena in a society is involved in the processing of these phraseologies. Sub-categories include, among other things, semiotised gestures (to take off one's hat - to show one's admiration for sb./sth.), gender specifics (sb. wears the trousers - it is the wife rather than her husband or partner who is the dominant person in a household) and bans and taboos (to be under the influence - to be drunk). The cultural foundation of the latter lies in the need of the speech of community to avoid direct naming and instead employ strategies of glossing over. Thus, all phraseological units revealing cultural models belong to this group, above all proverbs, regarded as giving information about which values are upheld in a given culture and expressing generally applicable rules governing social behaviour. Finally, routine formulae are part of social interactions and therefore belong to this type of cultural foundation as well. The goal here is not to assign each and every phraseological unit unambiguously to a particular type but to structure the cultural knowledge that shapes these units and lies at the very heart of phraseology as a whole. It is therefore not necessary to draw sharp lines between these types, which tend to overlap and interrelate. The idiom "cry wolf" also belongs to type (a), as it goes back to an Aesopian fable. The idiom the green-eyed monster meaning extreme jealousy is a quotation from Shakespeare's tragedy Othello, the Moor of Venice and as such belong to type (a). The connection between the colour green or yellow and emotions such as anger and envy, however, goes back to the pre-scientific "humoral pathology" (type

b), which in Shakespeare's days was still alive and appears throughout his popular dramas. Cultural symbols such as *gold, lily* or the symbolic number *seven* can be found in idioms of intertextual origin such as *to gild the lily; with seven-league boots*.

Phraseological units with their very heterogeneous entities can express cultural peculiarities by various types of stylistic devices or expressive means, namely: idioms, similes, collocations, proverbs and routine formulae.

Idioms are regarded as the central and most irregular category of phraseology. What makes idioms stand out from other phrasemes is their idiomaticity, which manifests itself in semantic reinterpretations and /or semantic opacity. Here is an example where elements of culture are located on the level of the source domain. The idiom *when hell freezes over* (something will never happen) is motivated on the basis of shared cultural knowledge about hell as a hot place that will never freeze over. The literal reading of the idiom refers to cultural concepts of mythology or folk belief, passed on throughout the centuries. Let's compare this to the idiom *to be left on the shelf* said of a woman who is past an age at which she might expect get married. Cultural aspects of the source domain (e.g. *shelf* as an object of material culture) can be disregarded here. Rather, the cultural dimension becomes apparent at the level of the actual meaning. The gender specifics are a stable component of the semantic structure of this idiom; there is no male counterpart. The idiom conveys the idea of confronting to the standard that only a woman should have married by a certain age and thus reveals a cultural model in the contemporary society.

Similes should be mentioned due to their cultural implications. Similes stand out by their specific structure of comparison, consisting of the tertium comparationis and the comparatum (the vehicle of comparison), which are connected via particle. Aspects of culture are mainly fixed in the literal readings of the vehicle. For instance, similes in English dialects denoting stupidity gives many examples like *as draft as a besom, a grindstone, a scuttle, a*



*shovel, a wagon-horse, turnips, muck, etc.* All of these vehicle words denote objects specific to the particular rural material culture and tend to reflect salient concepts of a given community, including idioethic realia that many stand out for their cultural connotations. In addition, similes can convey cultural symbols – e.g. *to eat like a wolf*. The image of the wolf eating voraciously is not supported by actually observing the animal but strongly supported by cultural symbolism, various narrative traditions that establish the conventional wisdom about the wolf as a gluttonous animal.

The term collocation has no unified meaning or definition in linguistic studies. It is either understood as the co-occurrence of words in general, irrespective of their fixedness or convention of use, or as a word combination that co-occurs habitually and therefore belongs to phraseology. There are some amount of collocations which has to be regarded as partly figurative, e.g. *a busy bee* has been semantically reinterpreted to denote a person rather than animal. It is this characterization of the bee that reveals cultural implications. Since antiquity and up to the present day bees have been used as a basis of comparison for prototypical diligence and busyness.

From the viewpoint of folklore studies, proverbs are elements of a code of folk culture. From the viewpoint of linguistics, proverbs are a central type of phraseological units. Many proverbs are figurative and have far-reaching cultural significance. They reveal all of the types of cultural phenomena. There are not only aspects of material culture but many proverbs are also directly interrelated with other culturally relevant texts. However, proverbs are most significantly connected with aspects of culture-based social interaction – a fact that is due to their special semiotic, semantic and pragmatic characteristics. Proverbs are general statements that are believed to express a universal truth as they refer to allegedly shared knowledge about rules governing social behaviour. Indeed, they do not allow drawing conclusions about attitudes and values of an entire language community but only of special groups at a

special time. Proverbs quote socially approved ideas that can be used instead of an argumentation; they reveal traces of social concepts.

Terms like routine formulae, communicative phraseologies or pragmatic idioms cover a large continuum of phraseological units. While greetings, expressions of thanks, excuses, congratulations, etc. belong to the core elements, the boundaries of this type are not always clear, especially in demarcating formula of comments. Only a few routine formulae are figurative in the sense that elements of culture can be found in their source domain. The German *Hals und Beinbruch!* (broken neck and leg!) is a jocular formula used in order to wish someone good luck. Its origin is explained by the ancient concept of superstition or folk belief that an unconcealed wish of good luck brings misfortune and one can outfit fate by wishing something bad. Cultural link of routine formula is almost exclusively restricted at the pragmatic level. Routine formulae are tools of communications; their most important function is the constitution of speech acts. They are therefore part of a larger complex of stereotyped action patterns and social interaction (comparable to specific gestures like bow and handshake). From this perspective, all communicative formulae reveal aspects of culture-based interaction. The cultural boundness becomes particularly visible when languages spoken by members of “distant” cultures are taken into account, for example in the inconsistent use of English and Chinese formulae in Singapore. There are also a number of communicative formulae in Japanese which have no equivalents in European languages, e.g. formulae used when leaving the house or coming home, together with their appropriate replies.

## Conclusion

The conception that phraseological units allow access to a collective way of thinking of a language community belongs to highly complex issues of the relation between language, cognition and culture.

The idea that the world is principally perceived through the medium of language, which determines the speakers' worldview can be found in several directions of phraseological research. This notion is usually accompanied by postulates that the analysis of phraseological units allow to have a deep insight into the community's mentality and cultural stereotype.

In this article, I have attempted to approach the complex of phraseology and cultural stereotypes from various angles. After defining the interrelation between phraseological units and cultural stereotypes, the main types of cultural knowledge underlying phraseologies have been examined, followed by an outline of the types of phraseological units in the view of their connections with cultural aspects. A look at entire conceptual domains has shown that cultural phenomena are determinable at the levels of complete source concepts and semantic fields.

Consequently, the possibility of capturing aspects of a cultural stereotypes in the phraseological units by means of the analysis of cultural components and linguistic comparisons has revealed that phraseologies as the conventional figurative multi-word units which are passed on from generation to generation through continual repetition turn out to be especially suitable for exposing cultural relevant concepts.

## Literature

1. Kipfer B. A. (2008): *Phraseology: Thousands of Bizarre Origins, Unexpected Connections, and Fascinating Facts about English's Best Expressions*. Published by Sourcebooks, Inc.
2. Allerton D. J., Nesselhauf N., Skandera P. (2004): *Phraseological Units: basic concepts and their application*. Schwabe
3. Dobrovolskii D. O., Piirainen E. (2005): *Figurative Language: Cross-cultural and cross-linguistic Perspectives*. Elsevier

4. Gill Ph. (2011): *Colouring meaning: Collocation and connotation in figurative language*. Library of Congress Cataloging-in-Publication Data

5. Granger S., Meunier F. (2008): *Phraseology: An Interdisciplinary Perspective*. John Benjamins Publishing Company

## Фразеологические единицы и культурные стереотипы

*Кварацхелия Натия Мамукаевна*

*Грузинский университет*

*Школа гуманитарных наук*

*Ул. Костава, 77а, 0175, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 599 249 895*

*E-mail: natiakvaratskhelia@hotmail.com*

### Резюме

Фразеологические единицы, в широком смысле этого понятия, удовлетворяют всем критериям многозначности и устойчивости, в то время, как фразеология, в узком смысле, требует наличия дополнительного критерия идиоматичности.

Несмотря на различные определения фразеологических единиц, предлагаемых в специальной литературе, совершенно ясно, что существует тесная связь между фразеологическими единицами и культурными стереотипами, это лучше и полнее всего отражается при помощи устойчивых идиоматических фраз, которые имеют тенденцию опираться, в основном, на образы, традиции или привычки, характерные для данной культуры. Фразеологические единицы являются неотъемлемой частью и, в некотором смысле, сокровищницей каждого языка. Они могут способствовать отображению долгой истории нации, уникальности ее культуры, жизни, традиций. Однако, все еще трудно провести четкую грани-

пу между образами, относящимися к более или менее универсальным аспектам человеческого мышления, а так же к чертам той или иной культуры.

**Ключевые слова:**

фразеологические единицы, культура, культурные стереотипы, фразеология, лингвистика, концепт.

**ფრაზეოლოგიური ერთეულები და კულტურული სტერეოტიპები**

*ნათია კვარაცხელია*  
*საქართველოს უნივერსიტეტი*  
*ჰუმანიტარული მეცნიერებათა სკოლა*  
*კოსტავას ქ. 77ა, 0175, თბილისი,*  
*საქართველო*  
*ტელ.: 599 249 895*  
*E-mail: natiakvaratskhelia@hotmail.com*

**რეზიუმე**

ყველა ენაში არსებობს უამრავი მაგალითი იმ მრავალფეროვანი კონსტრუქციებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ ფრაზეოლოგიური ერთეულების ზოგადი კრიტერიუმების მოთხოვნებს. ისინი ფართო გაგებით აკმაყოფილებენ პოლილექსიკურობისა და მდგრადობის კრიტერიუმებს, მაშინ როცა ვიწრო გაგებით, ფრაზეოლოგიზმები მოითხოვენ იდიომატურობის დამატებით კრიტერიუმს.

მიუხედავად პროფესიულ ლიტერატურაში შემოთავაზებული ფრაზეოლოგიური ერთეულების მრავალფეროვანი განმარტებებისა, აშკარაა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი ფრაზეოლოგიურ ერთეულებსა და კულტურულ სტერეოტიპებს შორის. ეს ყველაზე კარგად ვლინდება იმ იდიომატურ სტანდარტულ ფრაზებში, რომლებიც უმეტესწილად გამომდინარეობენ კონკრეტული კულტურისთვის დამახასიათებელი წარმოსახვების, ტრადიციებისა და ჩვევებისაგან. ფრაზეოლოგიურ ერთეულებს როგორც ყველა ენის განუყოფელ ნაწილსა და გარკვეული სახის საგანძურს შესწევთ ძალა ყველაზე საგრძნობი წვლილი შეიტანონ ერის ხანგრძლივი ისტორიის ასახვაში, მათი უნიკალური კულტურის, ცხოვრებისა და ტრადიციების გადმოცემაში. თუმცა, მკვეთრი სახის გაგება ადამიანის აზროვნების მეტ-ნაკლებად უნივერსალურ ასპექტებთან ასოცირებულ წარმოსახვებსა და კონკრეტული კულტურის მახასიათებლებს შორის ჯერ კიდევ რთულია.

**საკვანძო სიტყვები:**

ფრაზეოლოგიური ერთეულები, კულტურა, კულტურული სტერეოტიპები, ფრაზეოლოგია, ლინგვისტიკა, ცნება.

# აღზრდის პრობლემა აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქათა ფრანგი ფილოსოფოსების მოღვაწეობაში

დარეჯან ლაბუჩიძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფილოსოფიისა და სოციალურ

მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი

ჯ. ბაგრატიონის ქ. №6, თბილისი,

საქართველო

ტელ.: 891 605 948

E-mail: dodolaboutchidze@yahoo.fr;

dodolaboutchidze@mail.ru

## რეზიუმე

მოზარდის ჰუმანისტური იდეებითა და თავისუფლების სულისკვეთებით აღზრდის პრობლემა განსაკუთრებულ აქტუალობას იქენს აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქათა ფრანგი ფილოსოფოსების მოღვაწეობაში. ლიტერატურულ თუ ფილოსოფიურ თხზულებებში ისინი უხვად გვთავაზობენ თავიანთ მოსაზრებებს. საგანგებო განხილვის საგანია მონტენის მოძღვრების დიდაქტიკური ხასიათის ტენდენციები, რომლებიც ძალზე ორიგინალურადაა წარმოდგენილი ნაშრომში „ესეები“. ამ ნაშრომმა დიდი ზეგავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის ფილოსოფოსებზე. მონტენმა, განმანათლებელთა დარად, სქოლაქტიზმის ფორმალური სწავლების მეთოდს დაუპირისპირა დოგმატიზმისაგან თავისუფალი რეალური სწავლების მეთოდი, რითაც სტიმული მისცა პედაგოგიური მოძღვრებისადმი ინტერესის გაძლიერებას.

## საკვანძო სიტყვები:

აღზრდა, აღმზრდელი, სოციალური არსება, რეფლექსია, სწავლება.

## შესავალი

საზოგადოების სიჯანსაღეს მის წევრ ინდივიდთა ზნეობა და მენტალიტეტი განსაზღვრავს. ამდენად, აღზრდის უმთავრესი მიზანი ადამიანის სოციალურ არსებად ჩამოყალიბებაა. საზოგადოდ, ცნობილია, რომ აზროვნების დასწავლა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია აზროვნების სწორად შესწავლა. საზოგადოებაში კოლექტიურ ჩვევად ქცეული ადათ-წესები, ზნეობრივი ნორმები, რელიგიური წეს-ჩვეულებები და მითითებები აღზრდით შეიძინება და თაობიდან თაობას გადაეცემა. ჰერბერტ სპენსერი მომხრეა, რომ გონივრულმა აღზრდამ უკუაგდოს იძულების ხერხი და ბავშვებს მისცეს სრული თავისუფლება; ემილ დიურკემს კი სპენსერის თეორია მიაჩნია მხოლოდ ავტორის *Desideratum* –ად, რადგან ასეთი პედაგოგიური პრაქტიკა არასოდეს გამოუყენებია არც ერთ მისთვის ცნობილ ხალხს. დიურკემის თანახმად, წნეხი, რომელსაც ყოველწუთიერად განიცდის ბავშვი, ესაა სოციალური გარემოს ზეწოლა, რათა იგი თავისი დადგენილი ხატის მიხედვით ჩამოყალიბდეს. გარკვეული ხნის შემდეგ ასეთი იძულება აღარ იგრძნობა, რადგან აღზრდის წყალობით პიროვნებაში დამკვიდრებული მიდრეკილებები იძულებას აღარ საჭიროებს. (1, 41)

აღზრდის შესახებ მონტესკიეს შეხედულებებს აქტუალობას ანიჭებს ის გარემოება, რომ აღზრდის პროცესს იგი მოიაზრებს კარგი მოქალაქის ფორმირების საშუალებად, მეტადრე დემოკრატიული მმართველობის მქონე სახელმწიფოებში, სადაც სახელმწიფოს მართვა მინდობილი აქვს ყველა მოქალაქეს და კანონის უზენაესობა იქენს განსაკუთრებულ ძალას. პირველი კანონები, რომელთაც ჩვენ ჩვენი ცხოვრების მანძილზე ვღებულობთ, აღზრდის კანონებია,



ისინი ჩვენ მოქალაქეობისათვის გვაძაბებენ (2, 58). თუმცა დემოკრატიული მმართველობის (ისევე როგორც სხვა ყველაფრის) შენარჩუნებისათვის, მონტესკიეს აზრით, საჭიროა, რომ ის გიყვარდეს, ამდენად, აღზრდის მიზანი უნდა იყოს ამ სიყვარულის ჩაგონება. *ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოხერხდება სიყვარულის დამყარება რესპუბლიკაში* (2, 64). ცხადია, ამ საქმის შემსრულებლები არიან მშობლები და მასწავლებლები.

### ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ აღორძინების ეპოქაში, საფრანგეთში ბავშვთა აღზრდის ნიმუშად თავად მონტენის აღზრდას არათუ ასახელებდნენ, არამედ ამის შესახებ წერდნენ კიდევ. საფრანგეთში მოღვაწე შოტლანდიელმა ჰუმანისტმა ჟორჟ ბიუკენენმა სწორად აღზრდის მაგალითად თავის თხზულებაში „ბიოგრაფიები“ მონტენის აღზრდა გამოიყენა. მონტენის მამამ საოცარი მზრუნველობა გამოიჩინა შვილისადმი; მან გაუიშვილს აღმზრდელებად შეურჩია ძალზე ღირსეული ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალურად ამეცადინებდნენ მონტენს და ბევრ ისეთ რამესაც ასწავლიდნენ, რასაც კოლეჯის პროგრამა არ ითვალისწინებდა; მათ იმდენად შეაყვარეს მას კითხვა, რომ, მონტენის სიტყვების თანახმად, *ჩემს აღმზრდელს რომ ჯიუტად და ძალით შეეწყვეტინებინა ეს გატაცება, კოლეჯიდან თითქმის ყველა ჩვენი ემაწვილი აზნაურის მსგავსად, წიგნებისადმი მხოლოდ სიძულვილი გამომყვებოდა. მაგრამ იგი საოცრად გონივრულად იქცეოდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ხედავდა* (7, 258). მამის მზრუნველობის დასტურად, მონტენი ერთ ასეთ ფაქტსაც იშველიებს: *რადგან დილით ბავშვებს უფრო ღრმა ძილით სძინავთ, ვიდრე მოზრდილებს, მოულოდნელად გაღვიძება და ძილის ძალით შეწყვეტინება ბავშ-*

*ვის ფაქიზ ტვინზე უარყოფითად მოქმედებს; მამამ განკარგულება გასცა: ყოველ დილით რომელიმე მუსიკალური ინსტრუმენტის ხმას გავეღვიძებინე, გვერდით კი მუდამ ჩემი მსახური ყოფილიყო* (7, 261).

საოცარი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს მამას ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი – ჟან ჟაკ რუსო: *მამაჩემი არ გამოირჩეოდა თანამოქალაქეთაგან, ისიც მათნაირი იყო; თავს საკუთარი მარჯვენით ირჩენდა* [რუსოს მამა მესაათე იყო; მთარგ.] *სულს კი ამადლებული ჭეშმარიტებებით ასაზრდოებდა; და მაინც ქვეყანა არ არის, მის საზოგადოებას, მასთან ურთიერთობას ყველაზე ღირსეული ადამიანები (თანაც საკუთარი სარგებლით) რომ არ ეძიებდნენ [...] მას კვლავაც ცოცხალს ვხედავ სამუშაო იარაღების გვერდით ტაციტუსის, პლუტარქესა და გროციუსის თხზულებებით, ხოლო მის ახლოს მისივე საყვარელ ვაჟს, რომელიც ძალზე მწირად იღებდა მამათაგან საუკეთესო მამის მოკრძალებულ დარიკებებს. მაინც ბედნიერი ვარ იმ განცდით, რომ, მანკიერებებისადმი გარკვეული მიდრეკილებების მიუხედავად, ძნელია სიყვარულით ნასაზრდოები აღზრდა სამუდამოდ გაქრეს* (3, 26).

აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემათა დამაჯერებელ გადაჭრას შეეცადა მონტენი, რომლის დიდაქტიკური მოძღვრება შეიძლება გაიშალოს სამი ძირითადი საკითხის ირგვლივ: აღმზრდელის პიროვნება, აღზრდის მეთოდისა და ყრმის განათლების პროცესში ფილოსოფიის პრიმატი.

მონტენის ღრმა რწმენით, აღზრდისა და განათლების საბოლოო შედეგი დიდადა დამოკიდებული აღმზრდელის პიროვნებაზე, რომლის აღზრდის ობიექტი არის სამყაროს უმაღლესი ქმნილება – ადამიანი. *სასურველია აღმზრდელი იყოს უმაღლ ნიჭიერი, ვიდრე დიდი ცოდნის მქონე; მხოლოდ განსწავლულ აღმზრდელს, სჯობს ნიჭიერი და კარგი ჩვევების მქონე პიროვნება* (7,



268). ავტორის თანახმად, აღმზრდელს აღსაზრდელისადმი გულწრფელი სიყვარული, გულკეთილობა და ღმობიერება უნდა ასულდგმულებდეს. ხსენებული თვისებები მონტენს მიაჩნია წარმატების წინაპირობად; ხოლო ბავშვის უცოდველი ბუნება რომ არ დამახინჯდეს და შესაძლებლობა მიეცეს თავისუფლად გამოავლინოს თავისი მიდრეკილებები, მონტენს აუცილებელ პირობად მიაჩნია აღსაზრდელის ინდივიდუალური თვისებების, მისი ბუნებისა და სულიერი მოთხოვნილებების გათვალისწინება, რადგან *ძნელია, (თითქმის შეუძლებელია) ადამიანში იმის გარდაქმნა, რაც მასში ბუნებისმიერია*. კოლეჯებში ჰუმანიზმის სულისკვეთების გასაღვივებლად, მონტენი მოითხოვს სწავლა-აღზრდის მთელი პროცესი წარიმართოს ღმობიერებასთან შეზავებული სიმკაცრით. *უკუაგდეთ იძულება და ძალდატანება, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ამ გზით ამახინჯებენ და რყვნიან ბავშვის სპეციალ ბუნებას; თუ გსურთ, რომ ბავშვს სირცხვილისა და დასჯის შიში ჰქონდეს, ნუ შეაჩვევთ ძალდატანებას, მიაჩვიეთ ოფლის ღვრასა და წესრიგს (7, 278).*

მონტენი სწავლების პროცესს მიიჩნევს აზროვნებაზე ორიენტირებულ მოღვაწეობად, რომელიც არ წარმოადგენს მხოლოდ ინფორმაციის მოგროვების პროცესს. მისი სურვილია, რომ კოლეჯი იყოს ცოდნის ნამდვილი სავანე, სადაც მიმზიდველ და სასიამოვნო გარემოში ბავშვები სასწავლო მასალას გააზრებულად შეითვისებენ; ყველაზე მეტად იგი ილაშქრებს იმხანად კოლეჯებში გამეფებული ზუთხვის წინააღმდეგ. მისი აზრით, ზეპირად დასწავლა ცოდნას არ ნიშნავს, *ესაა მხოლოდ მიბარებულის შენახვა მესხიერებაში. მხოლოდ წიგნებით შეძენილი განსწავლულობა უმწეოა. მიმაჩნია, რომ ეს სამკაულია და არა განათლების ბალავარი (7, 270)*. მონტენი ურჩევს აღმზრდელს იხელმძღვანელოს ბავშვის ბუნებასა და ფსიქოლოგიასთან შესაბამეული მეთოდით, რომლის

მიზანიც არის განსჯის უნარის განვითარება – ყრმას რეფლექსიისა და დამოუკიდებლად აზროვნებისაკენ რომ უბიძგებს. სწავლების პროცესში მან ხან საუბარს მიმართოს, ხან წიგნს, ზოგჯერ მარტო ავტორი მიუთითოს, ზოგჯერ წიგნის შინაარსი და თხზულების დედააზრიც გააცნოს; მხოლოდ იგი არ ლაპარაკობდეს და წყვეტდეს ყველაფერს, აღსაზრდელსაც უსმენდეს. საკუთარი მოსაზრების დასტურად მონტენს მოყავს, არამედ არკესილაესა და სოკრატეს მაგალითი, ძალთა თანაფარდობის შესანარჩუნებლად, თავდაპირველად მოწაფეებს რომ ალაპარაკებდნენ, შემდეგ კი თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ, და დასძენს: *თანაფარდობის დაცვა, ჩემი აზრით, აღზრდის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანაა. აღზრდის პროცესში ბავშვის შესაძლებლობამდე დასვლა და ამ უკანასკნელით ხელმძღვანელობა, მხოლოდ ძლიერ და ამაღლებულ სულთა ხვედრია (7, 280)*, ახსნა-განმარტებათა თანმიმდევრობისას კი იგი პლატონის მეთოდით ხელმძღვანელობას სთავაზობს. სხვადასხვა საგანთა შეთავაზებისას ყრმა მათ შორის სხვაობის გამოვლინებას რომ შეაჩვიოს, აღმზრდელს ურჩევს საამისო მიგნების გზა ხან თავად მიუთითოს, ხან პირიქით – ბავშვს მოაძებნინოს, *რადგან განუსჯელად სხვისი აზრების გამოდევნება არაფრის ძიების ტოლფასია (7, 269)*, მოსწავლის მიერ შეთვისებული ცოდნის ხარისხზე კი იმსჯელოს არა მისი მეხსიერებით, არა მასალის დაზუთხვით, არამედ იმით, თუ რამდენად გააცნობიერა მან შეძენილი ცოდნა.

მონტენს არც მოზარდის ფიზიკური აღზრდა რჩება ყურადღების მიღმა. იგი ეთანხმება პლატონს, რომ ბავშვის გონებრივი განვითარების თანადროულად, აუცილებელია ზრუნვა მისი სხეულის განვითარებაზეც, რათა იგი იყოს ძლიერი ახალგაზრდა და არა გოგონასავით სათუთი დედიკოს ბიჭი. *უნდა აღვზარდოთ არა მხოლოდ სული ან მხოლოდ სხეული, არამედ ადამიანი, მისი*

ორად გაყოფა დაუშვებელია, მათი ცალ-ცალკე აღზრდა არ შეიძლება, ეს პროცესი უნდა წარმართოთ ერთდროულად, ერთ რვილში შებმული წყვილი ცხენით (7, 271). გონებისა და სხეულის თანადროულად ახალგაზრდის ზნეობაც რომ ყალიბდებოდეს, უმთავრეს მიზნად მონტენი მიიჩნევს საუბრებს სათნოებაზე, თავშეკავებასა და სამართლიანობაზე, კაცთმოყვარეობასა და სისხარბეზე, ანუ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მოაწესრიგებენ ყრმის ზნეებს და დაეხმარებიან მას ქედმაღლობის, მედიდურობის, პატივმოყვარეობის, სხვებისაგან გამორჩეულობისა და სხვებზე ჭკვიანად წარმოჩენის სურვილის, ერთი სიტყვით, იმ თვისებების დათრგუნვაში, სულის ნამცეცობაზე რომ მეტყველებს. ადამიანის ღირსებებისა და თვისებების შეფასებით კი ახალგაზრდა საკუთარ თავში აღძრავს ლტოლვას კარგისაკენ, სიძულვილს უარყოფითისადმი, რითაც ჭეშმარიტი და ურყევი ბედნიერება მიიღწევა. საკუთარ მოსაზრებათა მართებულობის დასტურად მონტენს მოხმობილი აქვს არისტოტელეს მაგალითი, რომელიც თავის მოწაფესთან, ალექსანდრე დიდთან უფრო მეტ დროს ვაჟკაცობაზე, სულგრძელობაზე, თავშეკავებასა და შეუპოვრობაზე საჭირო მითითებებს უთმობდა, ვიდრე სილოგიზმების შედგენასა და გეომეტრიის სწავლებას.

რეფლექსიის განვითარების საუკეთესო გზად კი მონტენი აღიარებს ფილოსოფიას, რომელიც ანტიკურ ეპოქაში სამართლიანად მიიჩნეოდა „მეცნიერებათა დედოფლად.“ მისი აზრით, ფილოსოფიის მითითებებს ბავშვებიც მოზრდილებივით საჭიროებენ. იგი აკრიტიკებს იმ ვაიფილოსოფოსებს, რომელთაც ვერ შეძლეს მისი სათნოების შეცნობა, უსახური, პირქუში ნიღაბი ააფარეს ფილოსოფიას და შიშის მომგვრელი იერით წარმოუდგენენ ბავშვს. *საოცარია, რომ ჩვენ საუკუნეში მოაზროვნეთათვის ფილოსოფია მნიშვნელობისაგან დაცლილი,*

*ცარიელი სიტყვაა; მასში არავითარ ღირებულებას არ ხედავენ არც გამოყენებითი, არც გონებრივი თვალსაზრისით (7, 299).*

აღზრდის მეთოდისა და აღმზრდელის პიროვნების თაობაზე გამოთქმული მრავალი ყურადსაღები მითითების შემდეგ, მონტენი კითხულობს, როგორ უნდა მოიქცეს აღმზრდელი, თუ, მისი მცდელობის მიუხედავად, აღსაზრდელი არ გაამართლებს მის იმედს. ამ კითხვის პასუხად მონტენი იშველიებს პლატონის ძალზე გონივრულ მოსაზრებას: *ცხოვრებაში ბავშვებს ადგილი არა მამის, არამედ საკუთარი ნიჭისა და უნარის მიხედვით უნდა დაეუქმებოდნენ და ურჩევს აღმზრდელს დროზე გაგზავნოს აღსაზრდელი (თუნდაც ჰერცოგის ვაჟიშვილი იყოს მისი მოწაფე), რომელიმე კომერციულ ქალაქში და მოწაფედ მიაბაროს კონდიტერს.*

### დასკვნა

სოციალური არსების ჩამოსაყალიბებლად, აღორძინებისა და განმანათლებლობის ეპოქათა თვალსაჩინო ფრანგ მოაზროვნეებს ახალგაზრდის აღზრდისა და სწავლის პროცესი მართებულად მიაჩნიათ არა სასწავლო მასალის დაზუთხვად, არამედ რეფლექსიაზე ორიენტირებულ ცნობიერ და აქტიურ მოღვაწეობად. ფაქტობრივად, თავიანთი მოსაზრებებით მათ საზოგადოებას შესთავაზეს აღზრდისა და სწავლების ბევრად უფრო ბუნებრივი, ჰუმანისტურ პრინციპებზე დაფუძნებული მეთოდი, რომლის მთელი პათოსი მიმართული იყო შუა საუკუნეების სქოლასტიკურ-დოგმატური მეთოდის წინააღმდეგ.

### ლიტერატურა

1. დიურკემი ე. (2001): *სოციოლოგიის მეთოდის წესები*. თბილისი
2. მონტესკიე შ. ლ. (1994): *კანონთა გონი*. თბილისი
3. რუსო ჟ. ჟ. (2009): *მსჯელობა ადა-*

მიანთა შორის უთანასწორობის დასაბამო-  
სა და საფუძვლების შესახებ. თბილისი

4. თევზაძე გ. (2008): *აღორძინების ეპო-  
ქის ფილოსოფია*. თბილისი

5. De Candolle. *Histoire des Sciences et des  
Savants*. Paris. P U F , p. 263.

6. Durkheim E. (2004): *De la division du tra-  
vail social*. Paris. P U F

7. Montaigne M. (2002): *Essais*, Livre pre-  
mier. Paris. Publication L G F

## **Problem of Bringing up and Education in Works of French Philosophers of Renaissance and Illumination Epochs**

*Darejan Laboutchidze*

*Grigol Robakidze State University*

*Institute Of Philosophy And Social Sciences*

*6, Bagrationi St., Tbilisi, Georgia*

*Tel.: 891 605 948*

Email: [dodolaboutchidze@yahoo.fr](mailto:dodolaboutchidze@yahoo.fr);

[dodolaboutchidze@mail.ru](mailto:dodolaboutchidze@mail.ru)

### **Abstract**

In the article it is marked that the problem of young people's bringing up with humanistic ideas and free spirit has become especially topical in the work of renaissance epoch French humanists. In their literature and philosophical works they offered numerous viewpoints. The subject of special discussion is didactic character trends in Monten's teaching, presented in a very original manner in his work "Essays". This work greatly influenced the philosophers of the later period. Monten put the free real teaching method against the scholastic formal teaching one, stimulating in this way increase of aspiration to pedagogical teaching. .

### **Keywords:**

education, educator, social being, reflection, teaching.

## **Проблема воспитания и просвещения в деятельности французских философов в эпоху возрождения и просветительства**

*Лабучидзе Дареджан Акакиевна*

*Государственный университет им. Гр. Робакидзе*

*Институт философии и социальных наук*

*ул. Багратиони № 6, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 891 605 948*

E-mail : [dodolaboutchidze@yahoo.fr](mailto:dodolaboutchidze@yahoo.fr);

[dodolaboutchidze@mail.ru](mailto:dodolaboutchidze@mail.ru)

### **Резюме**

В статье подчёркивается, что в творчестве французских философов эпох возрождения и просветительства особенно актуальна проблема воспитания и просвещения юношей в духе гуманитарных идей и свободы. В литературных произведениях и философских трудах они щедро предлагают свои соображения. Подчёркивается то обстоятельство, что с дидактической точки зрения, очень ценны те идеи, которые оригинально представлены в сочинении Монтена «Опыты», что его идеи, как и идеи просветителей, в большей степени способствовали развитию дидактического мышления, появлению интереса философов к методу воспитания свободного от догматизма схоластического метода.

### **Ключевые слова:**

воспитание, социальное существо, рефлексия, воспитатель, просвещение.

## გალაკტიონის შიში

ეთერ მგალობლიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ. 77, 0175, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 593 164 193  
E-mail: [etery.mgaloblishvili@yahoo.com](mailto:etery.mgaloblishvili@yahoo.com)

### რეზიუმე

გალაკტიონის შემოქმედების სირთულე და სიღიაღე ხშირად მისი ლექსების მრავალმხრივ გაგებას განაპირობებს. ამის ერთ-ერთი ნიმუშია „შიში“ და „კოშკი“. ორივე ლექსს ლაიტმოტივად გასდევს სიკვდილის შიში, რომელიც შეფარვით, გამოსახვის რთული მხატვრული ხერხებითაა გადმოცემული, რაც ჩვეულებრივ ადამიანურ განწყობილებებს, რეალურ სურათებს მისტიკურად აქცევს და შინაარსის არაერთგვაროვანი აღქმის საფუძველს იძლევა.

### საკვანძო სიტყვები:

გალაკტიონ ტაბიძე, სიკვდილის შიში, „შიში“, „კოშკი“, ქოლერის ეპიდემია, სიკვდილის სიმბოლო.

### შესავალი

გალაკტიონ ტაბიძის ადრეული პერიოდის შემოქმედების კვლევის დროს, ყურადღებას იქცევს პოეტის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება სიკვდილისადმი. გალაკტიონის მიერ სიკვდილი ზოგჯერ აღიქმება არა როგორც ტრაგიკული მოვლენა, არამედ როგორც ამქვეყნიური ტანჯვა-წამებისაგან განთავისუფლების, სულის ხსნის გზა. ხშირად კი პოეტის წარმოსახვაში სიკვდილი შემადრწუნებელ შიშს, ტკივილსა და

უდიდეს სევდას უკავშირდება. სიკვდილისა და მისი თანმხლები მოვლენების ფილოსოფიური გააზრებით გამოწვეული დაუძლეველი მწუხარება და უიმედობაა გადმოცემული ლექსში „ათოვდა ზამთრის ბაღებს“. სიკვდილის შედეგების გაცნობიერებით ნასაზრდოები სევდითა და მეღანქოლითაა გამსჭვალული ასევე ლექსები „სასაფლაოზე“, „ოჰ, სად, სადაა მისი საფლაო“, „დიდი ხანია“. სიკვდილის მოლოდინის შიშითაა სავსე „კოშკი“ და „შიში“. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას სწორედ ამ ორ ლექსზე შევაჩერებთ.

### ძირითადი ნაწილი

გერმანულში მამრობით პიროვნებათა დესიგნაციის ყველაზე პროდუქტიული დერივაციული საშუალებაა სუფიქსი **-er** (*Flieger, Denker, Täter*); შედარებით ნაკლებპროდუქტიულია **-ler** (*Bettler, Künstler, Sportler*),

**-ner** (*Redner, Rentner, Bühnenbildner*), **-ling** (*Prüfling, Lehrling, Feigling*). პიროვნებათა მხოლოდ ცალკეულ დესიგნატორებთან (აღმნიშვნელებთან) გვხვდება **-ian, -erich** (*Grobman, Wüterich*) და რამდენიმე სხვა, ძირითადად უცხოური წარმოშობის სუფიქსი: **-ant (-and)** (*Fabrikant, Proband*); **-eur** (*Friseur, Deserteur*); **-ist** (*Komponist, Linguist*); **-or** (*Direktor, Inspektor*); **-ar, -är** (*Bibliothekar, Aktionär*); **-ier** (*Bankier, Brigadier*).

აღნიშნული სუფიქსებით წარმოებული პიროვნული მასკულინუმის გამომხატველი ყველა ნიშნიდან შესაძლებელია პიროვნული ფემინინუმის წარმოება (*Renter-Rentnerin, Denker-Denkerin* და ა.შ.). გამონაკლისს წარმოადგენს **-ian, -erich, -ling**-ით შედგენილი მასკულინური დესიგნატორები (არ შეიძლება, მაგალითად, *Feiglingin, Lieblingin*).

ფრანგულიდან ან ინგლისურიდან ნასესხები მდებარეობითი სქესის პიროვნებათა აღმნიშვნელი სახელების მაწარმოებელი სუფიქსები **-ess/-esse** (*Stuardess, Hostess, Baroness*); **-ette** (*Chansonette*); **-ice** (*Direktrice*); **-euse** (*Souffleuse, Balletteuse, Masseuse*); **-eure** (*Garderobiere*); **-e** (*Marquise*) გერმანულის სი-

ტყვათწარმოებისთვის განსაკუთრებული რელევანტურობის შემცველ კომპონენტებად არ მიიჩნევა. ამასთან საყურადღებოა, რომ მიუხედავად ფრანგულიდან ნასესხები პიროვნული დესიგნატორების მცირე რაოდენობისა, მათი გერმანული ვარიანტებით ჩანაცვლება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია შესაძლებელი. ნასესხები სიტყვები საინტერესოა როგორც პიროვნული ფემინინუმის პეიორატიული მნიშვნელობების (*Hostess* - „*Prostituierte*“, *Mätresse* - „*Geliebte*“, *Masseuse* - „*Prostituierte in einem Massagesalon*“), ისე ეკლატანტური (თვალშისაცემი) სემანტიკური (დენოტაციური და/ან კონოტაციური) ასიმეტრიულობის გამო. პიროვნული ფემინინუმის მორფოლოგიურად მონათესავე ფრანგული ან გერმანული პიროვნული მასკულინუმი უფრო მაღალი რანგის/პრესტიჟის მატარებელია.

მაგ., *Maitre* - „*Meister, Herr, Lehrer*“

*Mätresse* - „*Geliebte*“

*Direktor* - „*Leiter einer Bank, Schule, eines Instituts usw.*“

*Direktrice* - „*Leitende Angestellte in der Modebranche*“

### ძირითადი ნაწილი

სუფიქსი *-in* ემსახურება პიროვნული მასკულინუმისგან პიროვნული ფემინინუმის წარმოებას. სიტყვათწარმოების აღნიშნულ წესს **მოცია** (*Motion, Movierung*) ეწოდება.

პიროვნული მასკულინუმი ნაწარმოებია სხვა ბაზისური სიტყვებისგან (ზმნებისგან, სახელებისგან). მასკულინუმისგან მოციის შედეგად შედგენილი ფემინინუმის ფორმები ორმაგი სუფიქსით ხასიათდება და მორფოლოგიურად უფრო კომპლექსურია:

*lehren* (ზმნა) – *Lehr-er* (პიროვნული მასკულინუმი)

*Lehr-er-in* (პიროვნული ფემინინუმი)

*Wissenschaft* (არსებითი სახელი)–*Wissenschaft-ler*(პიროვნული მასკულინუმი)

*Wissenschaft-ler-in* (პიროვნული ფემინინუმი)

მი)

აღსანიშნავია, რომ მოციის უნარმა გაამდგრდობითოს ყველა პიროვნული მასკულინუმი, ისეთიც კი, რომელიც სოციალურ რეალობაში შეიძლება არც კი არსებობს (*Asphaltiererin, Baustoffprüferin, Funkelektronikerin, Generalin, Matadorin, Maurermeisterin, Müllerin, Kanalarbeiterin, Klempnerin, Schmiedin, Schusterin, Strassenbauarbeiterin, Wegebauarbeiterin, Werkzeugmacherin* და ა.შ.), თავისი წვლილი შეიტანა მასკულინუმის გენერირების გამყარებასა და პიროვნული ფემინინუმის შინაარსის ამბიურობაში (მაგ., ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროფესია შეიძლება უჩვეულოა მდედრობითი სქესისთვის, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ამ პროფესიათა ქალი შემსრულებლები არსებობდნენ. ამიტომ ზოგიერთ სიტუაციაში გაუგებარია დესიგნატორებში *Generalin, Müllerin, Schusterin* და ა.შ. გულისხმობენ ქალს, რომელიც აღნიშნულ საქმიანობას ეწევა, თუ ქალს, რომელიც აღნიშნული საქმიანობით დაკავებული მამაკაცის მეუღლეა). ნაწილობრივ *-in*-ით მიჩნეულია მიზეზად იმ ფაქტისა, რომ უკანა პლანზე გადაინაცვლა სხვა, მორფოლოგიურად სიმეტრიულმა სიტყვაწარმოების საშუალებებმა, როგორცაა, მაგალითად, ზედსართავი სახელებით, I და II მიმდებობით პიროვნული ფემინინუმისა და მასკულინუმის წარმოება, რომლის დროსაც ორივე სქესის დესიგნატორები დიფერენციული გრამატიკული სქესის საშუალებით ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიიღება (*der/die Kranke, der/die Arbeitslose, der/die Studierende, eine Abgeordnete/ein Abgeordneter*).

პიროვნების აღმნიშვნელი სახელების განხილვისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ გერმანულში პიროვნული ფემინინუმისგან პიროვნული მასკულინუმის წარმოება არ ხდება, მაშინ როდესაც პირიქით პროცესი სრულიად დასაშვებია და ნორმად მიჩნეულია, რაც

ენის სისტემაში არსებულ სქესთა ასიმეტრიულობას კიდევ უფრო თვალშისაცემს ხდის. მაგალითად, პროფესიის აღმნიშვნელი სახელები *Kindergärtnerin, Fürsorgerin* მორფოლოგიურად უშვებს *Kindergärtner, Fürsorger*-ის არსებობას. სოციალურ სინამდვილეში აღნიშნული პროფესიებით თავდაპირველად ქალები იყვნენ დასაქმებულნი, შესაბამისად ფემინინური დესიგნატორები გამოიყენებოდა. ენობრივ საზოგადოებაში თანდათან ჩამოყალიბდა შეხედულება ამ პროფესიების როგორც მდედრობითისთვის სტერეოტიპული საქმიანობის შესახებ. მოგვიანებით, როდესაც აღნიშნული პროფესიებით კაცებიც დაკავდნენ, მასკულინური ფორმების საწარმოებლად უკვე არსებულ ფემინინურ დესიგნატორებს კი არ მიმართეს, არამედ ახალი აღმნიშვნელები *Erzieher, Sozialhelfer* შეიმუშავეს, რომლებიც შემდგომ ფემინინური ფორმების *Erzieherin, Sozialhelferin* ბაზისად მოგვევლინა. სიტყვაწარმოების აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება პატრიარქატული ენების ერთ-ერთ წესს, რომლის თანახმადაც მამაკაცის აღნიშვნა ფემინინუმიტ დაუშვებელია, რადგან ეს მხოლოდ კაცის დამცირების შემთხვევაში ხდება. მიუღებელია აგრეთვე პრიმატული ფემინინური ფორმიდან მასკულინუმის წარმოება, პირიქით პროცესი კი, როგორც ზევით ავღნიშნეთ, ნორმად მიიჩნევა.

სუფიქსის *-in* ფუნქციები სხვადასხვაგვარია: გრამატიკულ დონეზე ის ზემოქმედებს გრამატიკული სქესის შეცვლაზე (მასკულინუმიდან ფემინინუმისკენ); სემანტიკურ დონეზე მიგვანიშნებს „მდედრობითი პირის“ მნიშვნელობაზე. ამასთან გვაქვს შემთხვევები, სადაც სუფიქსს *-in* და საწარმოებელ ბაზისს შორის შინაარსის თვალსაზრისით ურთიერთმიმართებათა განსხვავებული ხარისხი შეინიშნება. მაგალითად, დესიგნატორების *Lehrerin, Wissenschaftlerin* შემთხვევაში იგულისხმება მოქმედი მდედრობითი პირი (მდედრობითი აგენსი),

რომელიც არაპიროვნულ ბაზისთან დაკავშირებულ საქმიანობას „*lehren*“, „*Wissenschaft betreiben*“ ასრულებს. დესიგნატორებთან - *Russin, Orthodoxin, Marxistin* სახეზეა მდედრობითი პირი, რომლის ბაზისშიც გამოიხატება ნაციონალური, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური მიკუთვნებულობა დესიგნატორებთან *Hofrätin-, Frau eines Hofrats*“, *Generalin-, Frau eines Generals*“, *Müllerin-, Frau eines Müllers*“, *Doktorin* (პირველ მარცვალზე მახვილით) - „*Frau eines Doktors*“ საქმე გვაქვს მატრიმონიალურ მიკუთვნებულობასთან ბაზისში დასახელებულ მამრობით პირთან.

საინტერესოა ზევით ჩამოთვლილ სემანტიკურ ფუნქციათა შორის („მდედრობითი აგენსი“ ან „მიკუთვნებულობა“) რომელია უფრო ადრეული? მდედრობითი და მამრობითი პიროვნებების აღმნიშვნელების სიმეტრიულად წარმოების რომელი საშუალებები/ხერხები ფიქსირდება პირვანდელ ხელნაწერ ძეგლებში მოციის გვერდით და რატომ გვევლინება მოცია გერმანული ენის სისტემაში პიროვნული ფემინინუმის საწარმოებლად ყველაზე პროდუქტიულ საშუალებად?

IV–VI საუკუნეების გუთურ წერილობით ძეგლებს, უპირველეს ყოვლისა, ვულფილას მიერ თარგმნილ ბიბლიას ჰქონდა მდედრობით და მამრობით პიროვნებათა სიმეტრიული აღნიშვნის სისტემა, ე.ი. პიროვნული ფემინინუმისა და მასკულინუმის წარმოება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად იყო შესაძლებელი. მაგალითად, *razn-, Haus*“, *garazna-, Nachbar*“, *garazno – Nachbarin*“. ვულფილას თარგმნილ ბიბლიაში არსებობს მხოლოდ ერთადერთი მოციური ფემინინუმის ნიმუში: *saurini-, Syrerin*“ (მამრობითი *saur-, Syrer*“), რომელიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს გუთურის პიროვნების აღმნიშვნელ სახელთა სისტემაში. მაშინ, როდესაც მამრობითი აღნიშვნა *saur* ბერძნულ-*syros*, ლათინურ *-surus*-ს შეესაბამება, ვულ-



ფილამ მდედრობითი *saurini* ბერძნული წყაროდან პირდაპირ კი არ გადმოიღო, სადაც *syro-phönizierin*, (ლათ. *syrophoenissa*)-ზე არის საუბარი, არამედ თარგმნა როგორც *saurini fwnikiska* ანუ „*Phönizische Syrerin*“ („ფინიკიელი სირიელი ქალი“). ამით სუფიქსის *-in* მნიშვნელობა – „მიკუთვნებულობაობა წარმომავლობის მიხედვით ხალხზე/ხალხის ჯგუფზე“ და ამ მნიშვნელობის სემანტიკური ფუნქციის პრიმატულობა ცალსახაა.

მოცია გუთურსა და ძველ ზემოგერმანულში მეორეხარისხოვან დერივაციულ საშუალებად გვევლინება. სიტყვაწარმოებით მიღებული მდედრობითი და მამრობითი პიროვნებების უძველესი ნიმუშები ერთმანეთის სიმეტრიულია. ძველი ზემოგერმანული (VIII-XI საუკუნეები) გუთურის მსგავსად 3 გრამატიკულ სქესს და მდიდარი ფლექსიის სისტემას ფლობს. აღნიშნული პერიოდის წერილობითი ძეგლები განეკუთვნება არა ხალხურ, არამედ სწავლულთა ენას და უმეტეს შემთხვევაში ლათინურიდან თარგმნილ ლიტერატურასთან გვაქვს საქმე. ლათინურის ზეგავლენა სიტყვაწარმოებაშიც ვლინდება. მაგალითად პიროვნული ფემინინუმის წარმოება ძველ ზემოგერმანულში შესაძლებელი იყო სამი ხერხით: *-a* რომელიც გუთურ *-o-*ს შეესაბამება (ძვ. ზემოგერ. *scriba-*, „*Schreiberin*“), ლათინური სუფიქსით *-ara* (ძვ. ზემოგერ. *sangara-* „*Sängerin*“, *folleistara-*, „*Helferin*“) და მოციით *-in(na)* (ძვ. ზემოგერ. *gestin-*, „*weiblicher Gast, Freundin*“). სუფიქსები *-a*, *-ara* ძველ ზემოგერმანულში საკმაოდ პროდუქტიულია, მაშინ როცა *-in* ჯერ მარგინალური სტატუსის მატარებელია და მხოლოდ გვიანდელ ძველ ზემოგერმანულში იძენს პროდუქტიულობას.

ადრეულ ძველ ზემოგერმანულში, ისევე როგორც გუთურში სუფიქსი *-in* მიანიშნებს „ქალის მიკუთვნებულობას ხალხზე ან მამაკაცზე“ (ძვ. ზემოგერ. *baiarin-*, „*Baierin*“, *cuningin-*, „*Königin*“), ხოლო *-a*, *-ara* გამოყენებით

გამოიხატება მნიშვნელობა „მდედრობითი აგენსი“. სუფიქსის *-in* სემანტიკური ფუნქცია უფრო გვიანდელ პერიოდში გაფართოვდა და კონკურენცია გაუწია სიტყვაწარმოების სხვა საშუალებებს. მაგალითები, როგორცაა *salbara/salbarin* (ორმაგი სუფიქსი *-ara + -in*) -, „*Salbenverkäuferin*“ ან *forasagin-*, „*Prophetin*“, რომლის ნაცვლად მასკულიუმის ფორმის *forasago-*, „*Prophet*“ გვერდით *forasaga* იყო მოსალოდნელი, კონკურენციას ასაბუთებს. მოციის პროდუქტიულობის ზრდა ნაწილობრივ ფორმალური მიზეზებით არის გამოწვეული, რადგან იგი პიროვნების აღმნიშვნელი სახელების არაპიროვნებათა სახელებისგან გამიჯვნის შესაძლებლობას იძლევა, მაგალითად, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მართალია მასკულიუმის ფორმის *forasago-*, „*Prophet*“ გვერდით ფემინინური ფორმა *forasaga* იყო მოსალოდნელი, მაგრამ გამოიხატა *forasaga* აღნიშნავს „*Prophezeihung*“, მოციის საშუალებით კი მოხდა მდედრობითი პირის აღმნიშვნელი სახელის დიფერენცია სხვა არაპიროვნული აღმნიშვნელისგან. მაშასადამე, *-in* სუფიქსი იძლეოდა ბიოლოგიური სქესის სპეციფიკაციის განსაზღვრის შესაძლებლობას, რაც მოციამ თავის თავზე აიღო.

მოციის პროდუქტიულობის ზრდა მხოლოდ შიდაენობრივად ვერ აიხსნება. ძველი ზემოგერმანულის არსებობის პერიოდში მიმდინარე ქრისტიანიზაციის პროცესებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ქალის ადგილზე საზოგადოებაში. ქალებმა თანდათან დაკარგეს გავლენა და დამოუკიდებლობა. ისინი შეიზღუდნენ მემკვიდრეობით უფლებებში, სახალხო მედიცინაში და ა. შ. გარეენობრივი განვითარების აღნიშნულმა პროცესებმა ასახვა ჰპოვა პიროვნების აღმნიშვნელი სახელების წარმოებაში, სადაც საბოლოოდ პრინციპმა - *male as norm* გაიმარჯვა და პიროვნულ ფემინინუმს ენის სისტემაში მეორეხარისხოვანობა „მიანიჭა“.

## დასკვნა

გერმანულ ენაში მასკულიური პიროვნული დესიგნატორებიდან მოციის გზით ფემინური ფორმების წარმოება ჩვეულებრივი მოვლენაა, პირიქით პროცესი ფემინინუმიდან მასკულიუმისკენ კი იმდენად უჩვეულო, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა თითქმის არ ხდება.

სუფიქსს *-in* ახასიათებს სემანტიკური ფუნქციების სხვადასხვაგვარობა („მდედრობითი აგენსი“, „მატრიმონიალური მიკუთვნალობა“, „მიკუთვნალობა წარმომავლობის მიხედვით ხალხზე/ხალხის ჯგუფზე“), რაც ზოგჯერ ამბიურობას იწვევს (მაგ., წინადადებაში „*Die Professorin war auch da*“, გაუგებარია გულისხმობენ ქალს როგორც აგენსს, თუ როგორც ვინმეს მიკუთვნებაში მყოფ პიროვნებას). მიუხედავად აღნიშნულისა *-in* სუფიქსმა გერმანული ენის ისტორიის მანძილზე არაერთ კონკურენციას გაუძლო და ენის სისტემაში პიროვნული ფემინინუმის მოციის ყველაზე მაღალპროდუქტიულ საშუალებად დამკვიდრდა.

## ლიტერატურა

1. Eisenberg P.(1994): Grundriss der deutschen Grammatik. 3., überarbeitete Auflage. Stuttgart; Weimar: Metzler (გვ.173; გვ.449)
2. Etymologisches Wörterbuch des Deutschen (1997): Berlin
3. Hellinger M.(1990): Kontrastive Feministische Linguistik. Max Hueber Verlag. München
4. www. Motion und Markiertheit (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 09. 2012 )
5. [http://othes.univie.ac.at/6880/1/2009-08-26\\_9505969.pdf](http://othes.univie.ac.at/6880/1/2009-08-26_9505969.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 09. 2012 )

6. [http://www.plattdeutsch-niederdeutsch.net/gotische\\_bibel.html](http://www.plattdeutsch-niederdeutsch.net/gotische_bibel.html) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 09. 2012 )

7. [http://de.wikipedia.org/wiki/Feministische\\_Linguistik](http://de.wikipedia.org/wiki/Feministische_Linguistik) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 09. 2012 )

8. <http://de.wikipedia.org/wiki/Wulfilabibel> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 10. 09. 2012 )

9. Oksaar E.(1988 ): Fachsprachliche Dimensionen. Tübingen. (გვ.34-73)

10. Samel I. (1995): Einführung in die feministische Sprachwissenschaft. Berlin.

## Suffix *-in* Function, Its Production and Historian-Lingual aspects

*Tinatini Purtseladze*

*Georgian Technical University*

*Department of Liberal Sciences*

*77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel. : 593 954 733*

E-mail: [tinatinipurtseladze@mail.ru](mailto:tinatinipurtseladze@mail.ru)

### Abstract

In German language female sex designation are feminine's forms, which originate from masculine forms with suffix *-in* addition. In order for feminine forms indication in the contemporary German language there is a highly productive derivation means as suffix *-in*, which is added to the masculine form.

The article examined the suffixes, which reproduce personal masculine and feminine forms and also the morphological and semantic values of feminine forms, and also the historical-lingual aspects of suffix *-in* as main exercise.

### Keywords:

designation, designat, designator, excercise, derrivation suffixes, personal feminine, personal masculine.

## **Функции суффикса -in, его продуктивность и историко-лингвистические аспекты**

*Пурцеладзе Тинатин Гивиевна*  
*Грузинский технический университет*  
*Департамент либеральных наук*  
*Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия*  
*Тел.: 593 954 733*  
E-mail: [tinatinipurtseladze@gmail.com](mailto:tinatinipurtseladze@gmail.com)

### **Резюме**

Десигнацию представителей женского пола в немецком языке служат фемининские формы, которые происходят от маскулинских форм с

добавление суффикса -in. Чтобы указать фемининскую форму, в современном немецком языке существует высокопродуктивное деривационное средство как -in суффикс, который добавляют к маскулинской форме.

В статье рассмотрены суффиксы, которые воспроизводят личностные маскулинские и фемининские формы, а также морфологические и семантические значения фемининских форм и историко-лингвистические аспекты суффикса -in как главного моционаго средства.

### **Ключевые слова:**

Десигнация, десигнат, десигнатор, моция, деривационные суффиксы, личностный фемининум, личностный маскулинум.

## საზოგადოებრივი წყობის მანიფესტირება ენაში. ენობრივი სექსიზმი

თინათინ ფურცელაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი  
კოსტავას ქ.77, 0175, თბილისი,  
საქართველო  
ტელ.: 593 954 733  
E-mail: tinatinipurtseladze@mail.ru

### რეზიუმე

XX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ინგლისურენოვან სივრცეში (აშშ) აღმოცენებული ნოვატორული ენათმეცნიერული დარგი - „ფემინისტური ლინგვისტიკა“ ინტერვენირებულ დისციპლინად მიიჩნევა, რომელიც არა მარტო აღწერს, არამედ აკრიტიკებს კიდევ ენას სოციალურ-პოლიტიკური კრიტერიუმების საფუძველზე. ენის ფემინისტური კვლევის ფოკუსი მიმართულია ენას, საზოგადოებას, აზროვნებას, რეალობასა და იდენტურობას შორის არსებული ურთიერთხემოქმედებითი, რელაციური ასპექტების კვლევასა და შეფასებაზე როგორც ლანგის, ასავე პაროლის და ნორმის დონეზე. ფემინისტური ლინგვისტიკა ააშკარავებს და აკრიტიკებს ენაში არსებულ სექსიზმებს, ენის ანდროცენტრულობას და ილწვის ცვლილებებისთვის, რათა მიღწეულ იქნას „პატრიარქატული ენების“ „ჭუმანურ ენებად“ გარდასტრუქტურირება.

სტატიაში განხილულია ენის, საზოგადოების, ცნობიერებისა და იდენტურობის ურთიერთმიმართებათა რელევანტურობა, ზოგიერთ ანიმატურ ლექსემათა ეტიმოლოგია საზოგადოებრივ-სოციალურ სტრუქტურებთან და კონდიციებთან კონტექსტში, გერმანული ენისათვის დამახასიათებელი სექსიზმები, რის გამოც ფემინისტური ლინგვისტიკა გერმანულს პატრიარქატულ ენად მიიჩნევს.

### საკვანძო სიტყვები

ფემინისტური ლინგვისტიკა, ენობრივი სექსიზმი, ენის ანდროცენტრული გამოყენე-

ბა, ენობრივი საზოგადოება, სიმეტრიული, სამართლიანი ენობრივი წარმოჩინება, დესიგნატორი.

### შესავალი

ადამიანები ეკოლუციის ყველა ფაზაში ფლობდნენ კომუნიკაციის უნარს. კაცობრიობის ისტორიაში ადამიანების მიერ შექმნილ საოცრებათა შორის ენა ყველაზე ეფექტურ, გენიალურ, კრეატიულ და უნივერსალურ ფენომენად ითვლება. ცნების „ენა“ ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია რთულია, რადგან ის განსაზღვრული ასპექტებიდან გამომდინარე კომპლექსურ პროდუქტად გვევლინება და ერთი მხრივ, ადამიანური აზრებისა და გრძნობების ინტერპრეტაციისა და ადამიანთა კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვან, სპეციფიკურ მედია-საშუალებას წარმოადგენს, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტულ ენას, რომელიც შედგება უამრავი ვარიაციებისა თუ „ლექტებისგან“.

სამყაროს შემეცნებისა და აზროვნების პროცესში ადამიანი იყენებს ენას როგორც აბსტრაქტირებულ მედიუმს, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს სინამდვილის რეფერირებას. ენის დახმარებით ვახერხებთ ჩვენი მსოფლხედვის, მენტალიტეტის და იდენტურობის ჩამოყალიბებას.

ენა იქმნება გარკვეულ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანების მიერ. ცნება „საზოგადოება“ მოიაზრებს სხვადასხვა ფორმაციებსა თუ სოციალურ ჯგუფებს. საერთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში მცხოვრები ერთ ენაზე მეტყველი საზოგადოება აღინიშნება ტერმინით „ენობრივი საზოგადოება.“

ენასა და ამ ენაზე მეტყველ საზოგადოებას შორის განუწყვეტლივ ვითარდება კორელაციური კავშირები. ამიტომ ენის



ზოგადადამიანური მოთხოვნებისა და მიზნებისგან განცალკევებულად კვლევა შეუძლებელია. ენა როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, კავშირშია ისეთ გარეეობრივ ფენომენებთან, როგორცაა ისტორია, პოლიტიკა, კულტურა, ეკონომიკა, სამართალი და რელიგია.

საზოგადოების ისტორიულ და ენობრივ განვითარებას შორის არსებული მიმართებები ასახავს საზოგადოებაში მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს და ენის სისტემაში იმპლიციტურად ან ექსპლიციტურად ფიქსირდება.

ფემინისტი ლინგვისტების აზრით, ენა საუკუნეების მანძილზე განიცდიდა და განიცდის საზოგადოებაში დომინირებული მამრობითი პრინციპების გავლენას. საზოგადოებაში გაბატონებულმა მამამთავრულმა წყობამ ასახვა ჰპოვა ენაშიც.

ამრიგად, ენა წარმოადგენს საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სოციალური, ძალაუფლებრივი ურთიერთობების გამოსატყვის საშუალებას.

### ძირითადი ნაწილი

ენისა და საზოგადოების რელაციური კავშირი განსაკუთრებით კარგად ჩანს ისტორიულად შესწავლილ ლინგვისტურ ლექსიკურ ერთეულებში.

ენაში მანიფესტირდება ენობრივი საზოგადოების წარმომადგენელთა შორის არსებული საზოგადოებრივი კონექსია (ურთიერთდამოკიდებულება). მაგალითად, უკვე ინდოგერმანულში გვხვდება მდებრობითი სქესის აღმნიშვნელი ლექსემები: snu-so-, „Schwiegetochter“ (რძალი), Braut (პატარძალი), vidhava-, „Witwe“ (ქვრივი ქალი). ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება პატრილკალურად არის ორგანიზებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალი ტოვებს თავისი მშო-

ბლების ოჯახს და საცხოვრებლად გადის ქმრის მამის ოჯახში. პატრილოკალური წყობის საზოგადოებისთვის სპეციფიკურია მჭიდრო კონექსია მამასა და ვაჟებს, ასევე ძმებსა და მათ ოჯახებს შორის, მაშინ როდესაც ცოლის ოჯახს აკციდენტური მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომ პატრილოკალური საზოგადოების ენობრივ სინამდვილეში არ გვხვდება ქალის ოჯახისთვის რელევანტური დესიგნაციური ფორმები. Schwiegersohn (სიძე), Witwer (ქვრივი მამაკაცი), Bräutigam (სიძე, ნეფე) უფრო გვიანდელ პერიოდში მდებრობითი ფორმებიდან იქნა ნაწარმოები.

ენაში რეფლექტირდება ენობრივი საზოგადოების მდებრობით და მამრობით წარმომადგენელთა სტატუსურ-რანგული ცვლილებები, მათი სოციალური კონდიციები, რის შედეგადაც შესაძლებელია შეიცვალოს ენის გრამატიკული სტრუქტურები, ლექსიკურ ერთეულთა დენოტაციური ან კონოტაციური შინაარსები და მნიშვნელობები. მაგალითად, ძველი ზემოგერმანული frouwa (Herrin, Gebieterin - ქალბატონი) წარმოადგენდა როგორც ვოკატიურ, ასევე დესიგნაციურ ფორმას მხოლოდ მაღალი წრის დაქორწინებული ქალებისთვის, ხოლო wip (Weib - ქალი, დედაკაცი) აღნიშნავდა პიროვნების ბიოლოგიურ სქესს. დღეს Frau - წარმოადგენს როგორც ვოკატიურ, ასევე დესიგნაციურ ფორმას ნებისმიერი სოციალური ფენის წარმომადგენელი ქალისთვის. ლექსიკური ერთეულის Weib-ის ძველი ზემოგერმანული მნიშვნელობა - „ქალი“, „დედაკაცი“ კვლავ ძალაშია, თუმცა იგი ხშირად პეიორატიული, დამამცირებელი მნიშვნელობით გამოიყენება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ das Weib - გრამატიკულად საშუალო სქესით მარკირდება, მისი ეტიმოლოგია უცნობია! სავარაუდოდ მას გუთურ ლექსემას - biwaibjan (umwinden, umkleiden - შემოხვევა, შემოცმა, შემოსხმა) უკავშირებენ და შესაძლოა იგი გულისხმობდა „დაქორ-



წინებულ ქალს, რომელსაც თავსაბურავი ჰქონდა შემოსხვეული“ („Weib als die, mit einem Kopftuch umhüllte verheiratete Frau“). (Etymologisches Wörterbuch des Deutschen 1997: 1546)

გერმანულ ენაში der Mensch – ადამიანი მარკირებულია მამრობითი გრამატიკული სქესით. ეტიმოლოგიურად დესიგნაცია (აღნიშვნა) Mensch წარმოდგება ძველი ზემოგერმანულიდან mennisco (der Männliche -მამრობითი სქესის მქონე). გერმანული ენის სტრუქტურა შეიცავს საშუალო სქესსაც, რაც ნეიტრალიზაციის შესაძლებლობას იძლევა და სამართლიანი იქნებოდა მდედრობით სქესთან მიმართებაში, მაგრამ ენობრივ-ისტორიულად ლექსიკური ერთეულის Mensch საშუალო სქესი არ მიენიჭა, უფრო მეტიც, მე-17 საუკუნემდე Mensch ძირითადად მხოლოდ მამრობითი სქესის პიროვნებების აპელატიური და დესიგნაციური მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

დესიგნატორს (აღმნიშვნელს) – Mensch ფემინისტი ლინგვისტები აკრიტიკებენ იმის გამო, რომ უმრავლესობის გონებაში ის მამრობითი სქესის წარმომადგენელთა ასოციაციას იწვევს და არა მდედრობითისას; ამავდროულად ენის სისტემასა და ენის გამოყენებაში არსებული გამონათქვამები, როგორცაა: Alle Menschen werden Brüder და არა – Alle Menschen werden Geschwister, Alle Menschen, inklusive Frauen und Kinder, კიდევ უფრო ამძაფრებს შეხედულებას, რომ Menschen უპირველეს ყოვლისა მამრობითი სქესის მქონე პიროვნებები არიან. აღნიშნული გარემოება ჩაგრავს მდედრობით სქესს, კმნის უხერხულ სიტუაციებს, რადგან გაუგებარია იგულისხმებიან ქალები დასახელებულ/დაწერილ აღნიშვნაში თუ არა.

მსგავს პრობლემას ვაწყდებით დესიგნატორთან Volk – ხალხი. der Mensch -ისგან განსხვავებით das Volk გრამატიკულად საშუალო სქესით არის მარკირებული, თითქოსდა ნეიტრალურობის მატარებელია, მაგრამ უმრავლესობაში მაინც მამაკაცების ასოციაციას იწვევს. იქნებ ამ შემთხვევაშიც

მიზეზი სიტყვის ეტიმოლოგიაშია?! ძველი ზემოგერმანული folc (volk) წარმოდგება ინდო-გერმანულიდან fulka -Kriegerschar, Heerhaufen – მეომართა გუნდი, ჯარი და უნდა გავიგოთ როგორც “ბრძოლისუნარიან მამაკაცთა ჯგუფი” („die Menge der waffenfähigen Männer“). (Etymologisches Wörterbuch des Deutschen 1997: 1521)

წარმოდგენილ მაგალითებში ნათლად ჩანს მდედრობითი სქესის იდენტიფიკაციის პრობლემა, რაც საუკუნეების მანძილზე დომინირებული საზოგადოებრივი თუ სოციალური ფაქტორების ზეგავლენის შედეგია.

ქალებს აქვთ უფლება არა მხოლოდ იყვნენ ჩართულნი და ნაგულისხმევი იმ აღნიშვნებში, რაც წესით ორივე სქესს გულისხმობს, არამედ დასახელდნენ კიდევ ექსპლიციტურად. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვაქვს ენის ანდროცენტრულ გამოყენებასთან და ენობრივ სექსიზმთან. ფემინისტური ლინგვისტიკის თანახმად, ენა სექსისტურია, თუ ის:

1) ქალების იგნორირებას და მათ გამორიცხვას ეწვევა, რადგან მამაკაცი ადამიანის სტანდარტად და ნორმად მიიჩნევა; შესაბამისად ქალები ექსპლიციტურად კი არ სახელდებიან, არამედ გენერირებული მასკულინიუმის ფორმით („der Arzt von heute“, „die Leistung der Wissenschaftler“ და ა.შ.),

2) ქალებს მამაკაცებზე დამოკიდებულად წარმოაჩენს, რაც ვლინდება პიროვნების აღმნიშვნელი სახელებისა და ტიტულების ასიმეტრიულ გამოყენებაში, როდესაც მამაკაცები ყოველთვის პირველნი სახელდებიან („Herr und Frau Meier“, „Vater und Mutter“, „Bruder und Schwester“, „liebe Zuhörer und Zuhörerinnen“, ერთადერთი გამონაკლისია „meine Damen und Herren“),

3) ქალებს მხოლოდ ტრადიციულ როლებში, ე.წ. მდედრობითი თვისებებით და ქცევის წესებით წარმოაჩენს („Otto baut ein Vogelhaus, Anna hilft ihm dabei“).

4) ქალებს აბუნად იგდებს („das schwache

Geschlecht“, „unsere Tennisdamen“, „Tussi“ და ა.შ.).

ენის სექსისტური გამოყენება ზღუდავს და ავიწროვებს ქალებს, აუჩინარებს მათ ღვაწლს და დამსახურებას.

ენა მართავს სინამდვილის აღქმის პროცესს. სეპირ-უორფის ჰიპოთეზის თანახმად სხვადასხვა ენაზე მეტყველ ადამიანთა ჯგუფები სხვადასხვაგვარად შეიმეცნებენ სამყაროს, რაც მშობლიური ენის „კარნახით“ არის განპირობებული. ადამიანი მოვლენათა სამყაროს ანაწევრებს გარკვეულ კატეგორიებად არა ამ კატეგორიების რეალურად არსებობის საფუძველზე, არამედ მის ცნობიერებაში „შენახული“ ენის სისტემის ზემოქმედების შედეგად; როდესაც საუბარია ან წერენ მხოლოდ *Mathematiker, Linguisten, Wissenschaftler, Inhaber, Fahrer, Fußgänger, Polizisten* და ა.შ. შესახებ, კონსტიტუირება მსოფლხედვა, რომელშიც ქალები არ ჩანან. ენა მუშაობს სურათებით. წინადადება „*Mechaniker reparieren Autos*“ ჩვენს წარმოსახვაში მექანიკოსი კაცების სურათებს ქმნის და არა ქალებისას. სქესთა სენსიბილიზებული ფორმულირებით – „*MechanikerInnen wechseln Öl*“, ქალები ექსპლიციტურად სახელდება და ჩვენს წარმოსახვაში ამოტივტივებული სურათებიც ქალებს ასახავენ და არა მამაკაცებს. მაშასადამე, ენა განსაზღვრავს ცნობიერებას. ჩვენს მსოფლხედვასა და სამყაროს შესახებ წარმოდგენებზე ენა ახდენს ზეგავლენას. ენა ქმნის და ამავდროულად ასახავს სინამდვილეს.

ფემინისტური ლინგვისტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს განხორციელდეს როგორც მამაკაცების, ისე ქალების მხრიდან მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა ექსპლიციტური, სამართლიანი, სიმეტრიული ენობრივი წარმოჩინება. კონკრეტული საზოგადოების დამოკიდებულება სქესთა მიმართ ამ საზოგადოების ენობრივ სტრუქტურებში მანიფესტირდება. „ენის კომპეტენცია კი სხვა კომპეტენციებისთვის მეტად საჭირო და გამოსადეგ ინტერნალ-

იზირებულ წესების აპარატს წარმოადგენს, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობას მართავს.“ (Pusch 1989: 15)

### დასკვნა

ენა საზოგადოებრივ-სოციალურ სტრუქტურებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ის საზოგადოებიდან უბრალოდ წარმოქმნილ აბსტრაქტულ ფენომენად კი არ გვევლინება, არამედ საზოგადოების წიაღში იბადება, იზრდება, ვითარდება და ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივი სტრუქტურები მასში აირეკლება, უკვე ენაში მანიფესტირებული რეალობა კი უკუზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე, მის ცნობიერებაზე.

საზოგადოების მხრიდან მდედრობითი სქესის შეუსაბამო, უსამართლო და ასიმეტრიული ენობრივი რეპრეზენტაცია კიდევ უფრო ამძაფრებს მათ (ქალების) დისკრიმინაციას და საკუთარი თავის იდენტიფიცირების პრობლემას. „ქალების ენობრივი იდენტიფიკაცია ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა მათი ფსიქიკური, სოციალური და ბიოლოგიური გადარჩენისთვის.“ (Pusch 1984: 24)

ფემინისტური ლინგვისტიკის აზრით გერმანული ენა ჩაგრავს მდედრობით სქესს, რადგან ის მასკულიზუმს ანიჭებს უპირატესობას; ამიტომ აუცილებელია ალტერნატიული სტრატეგიების შემუშავება და მათი ენობრივ საზოგადოებაში დანერგვა, რათა “პატრიარქატული, სექსისტური ენა” “ჰუმანურ ენად” გარდაიქმნას.

### ლიტერატურა

1. Etymologisches Wörterbuch des Deutschen (1997): Berlin

2.Hellinger M.(1985): Sprachwandel und feministische Sprachpolitik: Internationale Perspektiven. Westdeutscher Verlag (გვ.212-220)

3.<http://at2.indymedia.org/mod/info/display/schreibweise/index.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21. 06. 2012 )

4.[http://www.diss-duisburg.de/Internetbibliothek/Artikel/Gewalt\\_gegen\\_Frauen.htm](http://www.diss-duisburg.de/Internetbibliothek/Artikel/Gewalt_gegen_Frauen.htm) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21. 06. 2012)

5. Pusch L.(1989): Alle Menschen werden Schwestern. Feministische Sprachkritik. Suhrkamp

6. Samel I. (1995): Einführung in die feministische Sprachwissenschaft. Berlin

7.Schaff A.(1976): Soziolinguistik. Europaverlag. Wien (გვ.201-219)

8.Trömel – Plötz S. (1984): Gewalt durch Sprache

9.Weber U.(2001): Sprache und Gesellschaft. Hannover

10.Wodak R.(1987): Sprachliche Gleichbehandlung von Frau und Mann im öffentlichen Bereich. Herausgegeben vom Bundesministerium für Arbeit und Soziales (გვ.11-13)

11.[www.mediensprache.net/archiv/pubs/4443-11.pdf](http://www.mediensprache.net/archiv/pubs/4443-11.pdf) (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 21. 06. 2012 ).

## **Manifestation of the Social System in the Language. Lingual Sexism**

*Tinatin Purtseladze*

*Georgian Technical University*

*Department of Liberal Sciences*

*77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia*

*Tel. : 593 954 733*

*E-mail: [tinatinipurtseladze@gmail.com](mailto:tinatinipurtseladze@gmail.com)*

### **Abstract**

The innovative branch of knowledge - „The feminist linguistics“, which appeared in the English-language space in the 60's XX of century (in the

USA) and it is intervened discipline, which not only describes, but also criticizes language on basis sociopolitical criteria. The focus of language feminist study direct toward study and estimation of the relative aspects of language, society, consciousness both at the „Lang“ level and „password“ and „standards“. Feministic linguistics reveals and criticizes sexism and undrocentrism, which are exist in the language and setting to purpose to change, reconstruct patriarchy languages“ into „humane languages“.

The article the relevancy of language correlation, also society, consciousness and identity, the etymology of some non semantic lexemes, and sexism, which are inherent in German language and because of this language the feminist linguistics had been accepted by patriarchy language.

### **Keywords:**

feministic linguistics, lingual sexism, androcentric usage of language, lingual society, symmetrical, valid lingual development, designator.

## **Манифестирование общественного строя в языке. Языковой сексизм**

*Пурцеладзе Тинатин Гивиевна*

*Грузинский технический университет*

*Департамент либеральных наук*

*Ул. Костава, 77, 0175, Тбилиси, Грузия*

*Тел.: 593 954 733*

*E-mail: [tinatinipurtseladze@gmail.com](mailto:tinatinipurtseladze@gmail.com)*

### **Резюме**

Новаторская отрасль знания – „Феминистическая лингвистика“, которая появилась в англоязычном пространстве в 60-х годах XX века

(в США) и является интервенированной дисциплиной, которая не только описывает, но и критикует язык на основе социально-политических критериях. Фокус феминистского исследования языка направлен на исследование и оценку релятивных аспектов языка, общества, сознания как на уровне „Ланга“, так и „пароля“ и „нормы“. Феминистская лингвистика выявляет и критикует сексизмы и андроцентризмы, которые существуют в языке, а так же ставя цель изменить, переконструировать „патриархатические языки“ в „гуманные языки“.

В статье рассмотрены релевантность соотношений языка, общества, сознания и идентичности, этимология некоторых ансимативных дексем, а так же сексизмы, которые присущи немецкому языку и из-за которых этот язык феминистской лингвистикой принят патриархатным языком.

**Ключевые слова:**

феминистская лингвистика, языковой сексизм, андроцентрическое использование языка, языковое общество, симметричный, справедливое языковое выявление, десигнатор.

**ავტორები**

- მანანა ასლანიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ინგლისური ენის პედაგოგი
- ციური ახვლედიანი** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი
- ქეთევან გაბუნია** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი
- მარიამ გოგილაშვილი** – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, სრული პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი
- მარინა ზორანიანი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის კანდიდატი, სრული პროფესორი,
- ნათია კვარაცხელია** – საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტი, დოქტორანტი
- თამარ დემეტრაძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტი, დოქტორანტი
- დარეჯან ლაბუჩიძე** – თბილისის გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ეთერ მგალობლიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი
- თინათინ ფურცელაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიბერალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტი, დოქტორანტი
- თამარ ქაცანაშვილი** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
- ნატია შერაზადიშვილი** – საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი
- გვანცა ჭანტურია** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი



**ჟურნალის რედკოლეგია**

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტი, ენების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი
- ვიოლა ფურცელაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბებიტოვა** – გუმილიოვის სახ. ევრაზიის ნაციონალური უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- ქეთევან გაბუნია** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, რომანული ფილოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი
- ია ბურდული** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
- მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი, ლიბერალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუსციას უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ენების ცენტრი, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**Редколлегия журнала**

**Майя Чхеидзе** – Грузинский университет, руководитель департамента языков, доктор филологических наук, фулл-профессор

**Русудан Табукашвили** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, фулл-профессор

**Виола Пурцеладзе** – Тбилисский Государственный Университет, доктор филологических наук, профессор

**Ия Чиквинидзе** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, ассоциированный профессор.

**Ганс Руддигер Флук** – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

**Кульпаш Бейбитова** – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

**Таня Грисхаммер** – Магистр филологии (DAAD)

**Кетеван Габуня** – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, доктор филологии, руководитель направления романской филологии, фулл-профессор

**Ия Бурдули** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологии, ассистент-профессор

**Мария Михайлова** – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской академии естественных наук (РАЕН)

**Сильвия Ботева** – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

**Татьяна Мегрелишвили** – Грузинский технический университет, факультет бизнес-инженеринга, департамент либеральных наук, доктор филологических наук, ассоциированный профессор

**Альба Грациано** – Университет г. Тусция (Италия), директор центра языков, профессор

**Алессандра Спадафора** – Университет г. Тусция (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

**Георгий Купарадзе** – Тбилисский государственный университет, факультет гуманитарных наук, доктор филологии, ассоциированный профессор

## *Scripta manent*

### ***Editorial board***

**Maia Chkheidze** – Head of the Languages Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Full Professor

**Rusudan Tabukashvili** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philology, Full professor

**Viola Purzeladze** – Tbilisis' State University, Doctor of Philological Science, Professor

**Ia Chikvinidze** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philology, Associated Professor

**Hans Rudiger Fluck** – Professor of the Bokhums“ University, Doctor of Philological Science

**Kulpash Beibitova** – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

**Tanya Griskhamer** – Master of Philology (DAAD)

**Ketevan Gabunia** – Tbilisis' State University, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Dirrection in Romanian Philology, Doctor of Philology, Full-Professor

**Ia Burduli** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philology, Assistant Professor

**Maria Mikhaylova** – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of russian academy on the nature study (RANS)

**Sylvia Boteva** – Sofia's Uniersity of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

**Tatiana Megrelishvili** – Georgian Technical University, Business-Engineering Faculty, Department of Liberal Sciences, Doctor of Philological Science, Associated Professor

**Alba Graziano** – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

**Alessandra Spadafora** – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology

**Georgi Kuparadze** – Tbilisis“ State University, Faculty of Humanitarian Sciences, Doctor of Philology, Associated Professor